№6

აგვისტო, 2020წ.

ბოლნისი

გამოდის 1935 წლიდან

ფასი: 1 ლარი

როგორ ხვდებიან ბოლნისის სკოლები ახალ სასწავლო წელს

გვ:2

საბავშვო ბაღებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი 1 ოქტომბერს განახლდება

გვ:3

ბოლნისში 480-მა ბენეფიციარმა ჰუმანიტარული დახმარება მიიღო

გვ:6

როგორ ხვდებიან ბოლნისის სკოლები ახალ სასწავლო წელს

დღევანდელი ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესი 15 სექტემბერს განახლდება. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრომ ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეგულაციების გათვალისწინებით, სკოლებისთვის რეკომენდაციები შეიმუშავა, რის საფუძველზეც საქართველოს 2 084 საჯარო სკოლაში, ახალი სასწავლო წელი საკლასო ოთახებში 15 სექტემბერს განახლდება. მათ შორის, ბოლნისის ყველა საჯარო და კერძო სკოლა ემზადება ახალი სასწავლო წლის დაწყებისთვის. საინტერესოა, როგორ ხვდებიან სკოლები, პანდემიის მიუხედავად, სასწავლო წლის დაწყებას და რა რეგულაციები გაატარეს ამ კუთხით.

დინარა პირველი,დაბა კაზრეთის № 1 საჯარო სკოლის დირექტორი:

-დაბა კაზრეთის სკოლაში ამჟამად სწავლობს 430 მოსწავლე. აქედან 51 პირველკლასელია. პანდემიის მიუხედავად, გასული სასწავლო წელი საკმაოდ ნაყოფიერი იყო. გვყავს 8 მედალოსანი, სერიოზული გამოწვევა იყო დისტანციური სწავლება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ პედაგოგებმა, უჩვეულო სიახლეს, წარმატებით გაართვეს თავი. გვყავს კონკურსის არაერთი გამარჯვებული მოსწავლე. განვახორციელეთ წარმატებული პროექტები ,,არემჯის'', წითელი ჯვრის, ახალგაზრდული იდეის ფარგლებში. ყურადღებით ვემზადებით ახალი სასწავლო წლისთვის. ვითვალისწინებთ სამინისტროს ყველა რეკომენდაციას. სკოლაში, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსებით, მიმდინარეობს სველი წერტილების სრული რეაბილიტაცია. სკოლას აქვს ყველა აუცილებელი პირობა, იმისთვის, რომ გლობალური პანდემიის პირობებში, დავიცვათ მოსწავლეთა და პერსონალის უსაფრთხოება. სწავლას ვიწყებთ ჩვეულებრივ რეჟიმში, სკოლის ფართობი და პერიმეტრი ამის საშუალებას გვაძლევს .

აღსანიშნავია, რომ ახალი სასწავლო წლის დაგეგმვის პროცესში, ჩართულები იყვნენ როგორც საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე კერძო და საჯარო სკოლების ადმინისტრაციების წარმომადგენლები, შემუშავებული ჯანდაცვის სამინისტროს რეგულაციები ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს:

1.მოსწავლეებს შორის ერთ მეტრიანი დისტანციის დაცვა;

2.შენობაში შემსვლელი ყველა პირისთვის პირბადის სავალდებულო ტარება, გარდა მოსწავლისა;

3. შენობაში ნებისმიერი პირის, დეზობარიერის გავლით, თერმოსკრინინგისა და ხელის დეზინფიცირების შემდეგ შესვლა;

4. სკოლებში პირბადეების რეზერვის არსებობა;

5.სველი წერტილების სანიტარული დამუშავება ყოველი დასვენების შემდეგ;

6. ცვლებს შორის ნახევარსაათიანი შესვენება, საკლასო ოთახებისა და სკოლის საერთო სარგებლობის ფართების სანიტარული დასუფთავება და განიავება;

7. სიცხიანი და რესპირატორული სიმპტომების მქონე მოსწავლეებისთვის დროებითი საიზოლაციო ოთახის გამოყოფა;

8. ოთახების განიავება გაკვეთილებს შორის დასვენებებზე;

9. ხშირად შესახები ზედაპირების სანიტარული დამუშავება;

10. სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეებში (მათ შორის, დერეფანი, კიბის უჯრედი, სამასწავლებლო და ა.შ.) ყოფნისა და გადაადგილებისას ყველა პირს (გარდა მოსწავლეებისა) უნდა ეკეთოს პირბადე, მათ შორის დასვენებების პერიოდში და სხვა.

ნინო დევნოზაშვილი, იოანე ბოლნელის სახელობის ბოლნისის სასულიერო სკოლის დირექტორის მოადგილე:

-2019-2020 სასწავლო წელი, მიუხედავად გამოწვევებისა და დისტანციური სწავლებისა, წარმატებით შედგა. სკოლას ჰყავს 3 მედალოსანი მოსწავლე. ორი ოქრო და ერთი ვერცხლი. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღწეულ წარმატებებს ვულოცავთ ჩვენი სკოლის 2020 წლის კურსდამთავრებულებსა და მათ მასწავლებლებს. ვემზადებით ახალი სასწავლო წლის დაწყებისთვის, ჩვენი მიზანია დაცული იყოს თითოეული მოსწავლის, პედაგოგის, თანამშრომლის ჯანმრთელობის უსაფრთხოება და სრულყოფილი სასწავლო გარემო. ამისათვის, სკოლაში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები. რეგულაციების შესაბამისად წესრიგდება საპირფარეშოები და საკლასო ოთახები. სასწავლო პროცესი 14 სექტემბერს დაიწყება ჩვეულებრივ რეჟიმში, ყველა წესის დაცვით. პირველი ერთი კვირის განმავლობაში მოხდება სასწავლო პროცესისთვის მზადება, ჩატარდება პრეზენტაციები, ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების ნორმებთან დაკავშირებით! იმუშავებს გახანგრძლივებული ჯგუფი და სკოლაში არსებული წრეები. წელს სკოლაში შემოვიდა 51 პირველი კლასელის განცხადება, სამწუხაროდ, მხოლოდ 21 მოსწავლის რეგისტრაცია შევძელით, რაც განპირობებული იყო ავტორიზაციის დებულებითა და შენობის ფართის გათვალისწინებით. მოუთმენლად ველოდებით ახალ სასწავლო წელს, ახალ თავგადასავალს, საინტერსო პროექტებსა და დაუვიწყარ დღეებს ჩვენ ძვირფას მოსწავლეებთან ერთად.

გულნაზ რეხვიაშვილი, რაჭისუბნის საჯარო სკოლის დირექტორი:

-სსიპ ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლას 2019-2020 სასწავლო წელს ჰყავდა 5 კურსდამთავრებული, რომელთაგანაც 3 უმაღლეს სასწავლებელში აბარებდა, 2 კოლეჯში.

ახალი სასწავლო წლის დასაწყებად, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, განსაკუთრებულად ვემზადებით, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად. შეძენილი გვაქვს პირბადეები და ხელთათმანები, დეზობარიერები, შესაბამისი ხსნარები, ხელის სადეზინფექციო ხსნარი, თხევადი საპონი, ტუალეტის და ხელის საშრობი ქაღალდები, მართალია წყალი გრაფიკით მიეწოდება სკოლას, მაგრამ გვაქვს სასმელი წყლის დისპენსერები და ტექნიკური წყლის რეზერვუარები.

საკლასო ოთახები შევარჩიეთ მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით და დავდგით მერხები 1 მ დაშორებით. გამოყოფილი გვაქვს იზოლირებული ოთახი „კოვიდ-19"-ის სიმპტომების მქონე მოსწავლეებისთვის. უნდა შევიძინოთ თერმომეტრი, რომლითაც მოხდება დისტანციურად ტემპერატურის გაზომვა.

დარჩენილ დროში ყველაფრის მოწესრიგება მოხერხდება. ასე, რომ ახალი სასწავლო წელი ჩვენს სკოლაში ნორმალურად დაიწყება, თუმცა დიდი შრომის გაწევა მოგვიწევს. გამოყოფილი გვყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც, ადმინისტრაციასთან ერთად, ყველაფერს მიაქცევს ყურადღებას.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ გაკვეთილების ჩატარების ახალი სტანდარტი შეიმუშავა. შემუშავებისას გაზიარებულია სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა და რეკომენდაციები, რაც გულისხმობს, როგორც თითოეული მოსწავლის ჯანმრთელობაზე ზრუნვას, ასევე აკადემიური სტანდარტის დაცვას.

სკოლის ადმინისტრაციის მიერ, საჭიროების შემთხვევაში, შერეული მოდელის დანერგვისას, V-VI კლასებში დისტანციური სწავლება შესაძლებელი იქნება კვირაში მაქსიმუმ 1 დღე, VII – XI კლასებში მაქსიმუმ 2 დღე, ხოლო XII კლასში – მაქსიმუმ 3 დღე.

მადონა ლომსაძე N5 საჯარო სკოლის დირექტორი: - სსიპ-ქ.ბოლნისის N5 საჯარო სკოლაში, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესი განხორციელდება ორ ცვლაში, რათა დაცული იქნას ყველა ის რეკომენდაცია, რასაც განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო სკოლებს სთავაზობს. სკოლაში სრულად არის დაცული ყველა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმა. მკვეთრად გაიზარდა მოსწავლეთა კონტინგენტი, წელს პირველად გაიხსნება სამი პირველი კლასი. წელსაც გაგრძელდება პროექტი ,,ახალი სკოლის მოდელი", საბაზო საფეხურზე დაინერგება ,,Minecraft Education Edition" –ის საგანმანათლებლო

გაგრძელება მესამე გვერდზე

200-ლარიანი დახმარების ჩარიცხვა 1 სექტემბრიდან დაიწყო

17 წლის ასაკის ჩათვლით ბავშვებისთვის განკუთვნილი 200-ლარიანი დახმარების ჩარიცხვა 1-ლი სექტემბრიდან დაიწყო. საბანკო დავალიანების მქონე პირებს აღნიშნული დახმარება არ ჩამოეჭრებათ, შესაბამისი შეთანხმება საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიასა და კომერციული ბანკების ხელმძღვანელების შეხვედრაზე შედგა, რომელიც მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა. შეთანხმების შესაბამისად, თუ დახმარების ბენეფიციარს ბანკთან აქვს სასესხო ვალდებულება, მის დასაფარად, ბანკი კონკრეტულად აღნიშნულ სოციალურ დახმარებას არ მიმართავს. ამ საკითხთან დაკავშირებით ბანკებმა შესაბამის საოპერაციო დონეზე მუშაობა უკვე დაიწყეს. შეხვედრაში საქართველოს ფინანსთა მინისტრი ივანე მაქავარიანი, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში ბექა ლილუაშვილი, „ლიბერთი ბანკის" გენერალური დირექტორი ვასილ ხოდელი, „საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორი არჩილ გაჩეჩილაძე და „თიბისი ბანკის" გენერალური დირექტორი ვახტანგ ბუცხრიკიძე მონაწილეობდნენ. 18 წლამდე ბავშვთა ერთჯერადი 200-ლარიანი სოციალური დახმარების მიღების მიზნით შექმნილ სპეციალურ პორტალზე – daxmareba.moh.gov.ge დღეის მდგომარეობით რეგისტრირებულია 742 000 ბავშვი და 442 000 მშობელი. სისტემაში რეგისტრაცია 2020 წლის 1-ელ დეკემბრამდე გრძელდება.

საბავშვო ბაღებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი 1 ოქტომბერს განახლდება

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, საჯარო და კერძო საბავშვო ბაღები გაიხსნება საჯარო სკოლებში სწავლის დაწყებიდან (15 სექტემბერი) 2 კვირის ინტერვალით – 1 ოქტომბრიდან. ასევე, მიმდინარეობს მუშაობა უმაღლეს სასწავლებლებში, სწავლის ეტაპობრივად დაწყებასთან დაკავშირებით.

გაგრძელება. დასაწყისი მეორე გვერდზე

პროგრამა, რაც უფრო მრავალფეროვანსა და საინტერესოს გახდის სასწავლო პროცესს. ახალი სასწავლო წლიდან სკოლაში მოხდება USID -ის საბაზისო განათლების პროგრამის განხორციელება,რომელიც ითვალისწინებს მასწავლებელთა გადამზადებას ახალი მეთოდების დანერგვის ხელშესაწყობად და ხელს შეუწყობს ახალი სასწავლო რესურსების შექმნას დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის.

ირმა წაქაძე, №1 საჯარო სკოლის დირექტორი:

-საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა მივიღეთ გარკვეული რეკომენდაციები ახალი კორონა ვირუსით გამოწვეულ ინფექციასთან (covid-19) დაკავშირებით. პირველ რიგში, სკოლებმა შევიმუშავეთ, პანდემიის პირობებში, საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმა. თვალსაჩინოადგილასგანთავსდაგანცხადებებიcovid-19-ისპრევენციული ღონისძიებების შესახებ. ვინაიდან, პირველი საჯარო სკოლა გამოირჩევა მოსწავლეთა სიმრავლით, დაწესებულების შესასვლელთან გაიხსნება ორი კარი, განთავსდება დეზობარიერები და განხორციელდება ყველა შემსვლელის თერმოსკრინინგი. სკოლის პირველ სართულზე მოეწყობა მოსაცდელი ოთახი, სადაც თერმოსკრინინგის დროს დაფიქსირებული მაღალი ტემპერატურის შემთხვევაში მოთავსდება მოსწავლე. საიზოლაციო ოთახში იქნება ბუნებრივი ვინტილაცია. აღჭურვილი იქნება მოსასვენებელი საშუალებებითა და ჰიგიენური ხელის სანიტაიზერით. ანტისეპტიკური საშუალებების დისპენსერები განთავსებული იქნება, როგორც დაწესებულების შესასვლელში, ისე საერთო სარგებლობის სივრცეებთან. მოსწავლეების გარდა, ნებისმიერ პირს შენობაში შესვლა შეეძლება მხოლოდ პირბადით. იმის გათვალისწინებით, რომ რაც შეიძლება მცირე რაოდენობის ბავშვები უნდა მოხვდნენ საერთო სივრცეში, სკოლამ შეიმუშავა ე.წ. დღის განრიგი. დაწყებითი საფეხურისთვის სწავლა დაიწყება 08:30-ზე, ამიტომ მოსწავლეები უკვე 08:00- დან დაიწყებენ თერმოსკრინინგს. დროის ეს მონაკვეთი შეეხება მე-2-ე - მე-6-ე კლასებს. რაც შეეხება პირველ კლასებს , ისინი სწავლას დაიწყებენ 09:05-ზე, ამიტომ მათი თერმოსკრინინგი დაიწყება ნახევარი საათით ადრე. გაკვეთილების ხანგრძლივობა იქნება 30 წუთი. ცვლებს შორის დაცული იქნება დროის 30 წუთიანი ინტერვალი, ამიტომ მე-2-ე ცვლისთვის გაკვეთილები დაიწყება 12:30-ზე. როგორც პრაქტიკული ისე თეორიული სწავლებისათვის განკუთვნილ სივრცეში მოსწავლეთა შორის იქნება ერთმეტრიანი დისტანცია დაცული. პირველი ცვლის შემდეგ სანიტარული შესვენება, რომელიც მოიცავს განიავებას, დასუფთავებას სველი წესით ნატრიუმის ჰიპოქლორიტით, განისაზღვრება ნახევარი საათით. საკლასო ოთახებში აუცილებელია მაგიდები განლაგდეს იმგვარად, რომ მოსწავლეები არ ისხდნენ ერთმანეთის პირისპირ და მათ შორის დაცული დისტანცია იყოს არანაკლებ ერთი მეტრი. ყოველი შესვენების დროს სავალდებულოა საკლასო ოთახების განიავება. სკოლაში იმუშავებს სასადილო, სადაც ასევე იქნება კონტროლი უსაფრთხო დისტანციის დასაცავად. მოწყობილი იქნება ხელის დასაბანი საშუალება ან სადეზინფექციო დისპენსერი. თითოეულ მოსწავლეს უნდა ჰქონდეს საკუთარი მარკირებული (სახელი, გვარი) წყლის ბოთლი. სკოლას ექნება ამ ბოთლის სასმელი წყლით შევსების შესაძლებლობა წყლის დისპენსერიდან. სკოლაში ხშირად ჩატარდება საინფორმაციო შეხვედრები ხელის ჰიგიენის საკითხებზე, მიეწოდებათ ინფორმაცია მასწავლებლებს მოსწავლეებსა და თანამშრომლებს, პრევენციული ღონისძიებების შესახებ. იმ მოსწავლეებს, რომლებსაც სჭირდებათ სატრანსპორტო საშუალებები, თერმოსკრინინგი ჩაუტარდებათ ტრანსპორტში ასვლამდე და მათთვის სავალდებულო იქნება პირბადის გამოყენება. ბოლნისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის N1საჯარო სკოლა ჯანმრთელობასა და წარმატებულ სასწავლო წელს უსურვებს ყველას. დავიცვათ ჰიგიენა, გავუფრთხილდეთ ერთმანეთს!

დარეჯან ოქრუაშვილი

კარანტინის დროს აღმოჩენილი უნარები

„ჩემი სახლი სოფლის განაპირას დგას, მაღლობზე. აივნიდან ამაყად გადავყურებ გაშლილ ველს, სადაც თავთუხები თავს მიკრავენ დაბლა, მზის სხივები უცნაურად მელამუნებიან, მიწვევენ, სურვილი მიჩნდება, ჩავყვე მზის სხივებს და შევერიო მზეკაბანს. გავცქერი მიდამოს და სილამაზით ვტკბები... თავდახრილი მზესუმზირები სევდიანად მიყურებენ ქვევიდან. მალე უკანასკნელად დამხედეს სხივებმა და აიკრიფნენ... მკვდრის მზე! -წამოვიძახე და სევდა მომეძალა. ბინდი ნელ-ნელა შემოიპარა. იქვე, აივანზე მოვიკალათე. ფიქრმა წამიღო... როდის ჩამეძინა, არ მახსოვს, ცოტა აგრილდა კიდეც, ვგრძნობდი, რომ ტანთ შემცივდა, ძილბურანში ვიყავი, „მაინც რა არის ჩვენი ყოფა-წუთისოფელი...“ აგვისტოს ცხელი დღეა, სევდიანი და მწუხარე, ამაყი და სირცხვილნარევი, ახლა აქ სიცოცხლე გრძელდება, მაშინ იქ კი...“

15 წლის ანა ბეჟანიშვილმა, ასე დაიწყო 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ თემის წერა, პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულ დროშიც დაასრულა და ქვეყნის მასშტაბით ხუთ რჩეულ მოსწავლეს შორის აღმოჩნდა. თემა ,,დამესიზმრა ომი“, რომელმაც ანას წარმატება მოუტანა, არასამთავრობო ორგანიზაცია ,,კოგნიტიო“-ს მიერ იყო ორგანიზებული, მასში მონაწილეობის მისაღებად ბოლნისიდან 11 განაცხადი იყო გაგზავნილი, თუმცა კონკურსის მოთხოვნებს მხოლოდ ანას რეზიუმემ უპასუხა. კონკურსი ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობდა, სადაც მონაწილეებმა კონკრეტული დავალება, თემის სათაური 15 წუთით ადრე გაიგეს. საქართველოს 12 რეგიონის 12 მონაწილიდან მხოლოდ 5 გადავიდა შემდეგ ეტაპზე. როგორც ანა გვიყვება, მას თემის წერა არ გასჭირვებია, რადგან ოჯახი ამაზე ბევრს საუბრობდა, ამ ომში ანას მამაც იბრძოდა.

„აღნიშნული პროექტის შესახებ გავიგე სრულიად შემთხვევით და გადავწყვიტე მონაწილეობის მიღება, თუმცა ეს არ იყო მარტივი, გავაგზავნე ანკეტა, რომლის პასუხსაც რამდენიმე კვირა ველოდი. საბოლოოდ 12 მონაწილე ვიყავით სხვადასხვა რეგიონიდან. ქვემო ქართლს მხოლოდ მე წარმოვადგენდი. ტური ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობდა, სადაც დრო ზუსტად 4 საათი განისაზღვრა. გვქონდა წერის სრული თავისუფლება, ამიტომ რეალობა და ფანტაზია გავაერთიანე.“- გვიამბობს ანა ბეჟანიშვილი.

ომის თემატიკის გარდა, ანას არაერთი ჩანახატი აქვს, რომელიც არსებობის არც თუ ისე დიდ პერიოდს მოითვლის. მისი ჩანახატები, მსოფლიოს ახალ ვირუსთან ბრძოლის, პანდემიის პერიოდში გაჩნდა. მაშინ, როდესაც ადამიანებს ფიქრისთვის მეტი დრო მიეცათ, ანამაც გადაწყვიტა, დრო სასიკეთოდ გამოეყენებინა.

„პანდემიის დროს სულ სახლში ვიყავი, როგორც ყველა, შესაბამისად ფიქრის დროც მქონდა, გადავწყვიტე ეს დრო ფუჭად არ დამეკარგა და დავიწყე წერა, თუმცა, ასე უბრალოდ დავჯდე და ვწერო, არ გამომდის, თუ მომივიდა აზრები, დროს და სივრცეს მნიშვნელობა არ აქვს, ვწერ, შემდეგ შეიძლება მცირე ცვლილებები შევიტანო. ჩემი პირველი ჩანახატი იყო „მონატრების წვიმა“, რომელიც გავგზავნე ერთ-ერთ პროექტში. ჩანახატმა დიდი მოწონება დაიმსახურა, ბევრი გამოხმაურებაც მოჰყვა, რადგან პირველი ნაბიჯი გადავდგი, კიდევ უფრო დიდი სურვილი გამიჩნდა კალამთან სიახლოვის“. აღნიშნა ანამ.

ანას ჩანახატების პირველი შემფასებელი მისი საგნის პედაგოგი, კარინა დევნოზაშვილი გახლავთ, პედაგოგი, რომელიც მშობლიურ ენას მე-5-ე კლასიდან ასწავლის.

„ესეების წერა სასკოლო პროგრამითაც არ მიჭირს, რაც ჩემი მასწავლებლის დამსახურებაა, მასწავლებელი, რომელმაც ყველას ძალიან შეგვაყვარა თავი და დიდ პატივს ვცემ, ის სულ მამხნევებს და მეუბნება, რომ ჩემს გვერდითაა. კარინა მასწავლებელი ჩემთვის დიდის სტიმული და იმედია, ასევე საკმაოდ ბევრი სფეროთი ვარ დაკავებული და მომწონს სიახლის კეთება. მიყვარს წერა. ვცდილობ ისეთი ჩანახატები ვწერო, რომელიც მკითხველს აღაფრთოვანებს და ახალს გააცნობს. ჩემი ნაწერები ნებისმიერი ასაკის ადამიანზეა გათვლილი. ყველა იპოვის საკუთარ თავს. ვცდილობ, სულ სხვა რანგში ვწერო. ასევე დაკავებული ვარ მოხალისეობით. ვარ ბოლნისის ახალგაზრდული სახლის და კანტის აკადემიის აქტიური მოხალისე. ვესწრები მათ მიერ ჩატარებულ ორენოვან ლექციებს“. ამბობს ჩვენი რესპოდენტი.

ჩვენი გმირი, გარდა იმისა, რომ წერს, თავადაც ძალიან უყვარს კითხვა და ბევრს კითხულობს, ეცნობა, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მწერლების შემოქმედებას, ჰყავს საყვარელი პოეტი, გალაკტიონ ტაბიძე, მწერლებს შორის კი ჰარიეტ ბიჩერ სტოუსს გამოჰყოფს. ზემოთ ჩამოთვლილ აქტივობებთან ერთად, ანა სპორტშიც საკმაოდ წარმატებულია, რამდენიმე წელია ის ფრენბურთის გუნდში თამაშობს, რომელმაც 2019 წლის სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში გაიმარჯვა, რასაც მოჰყვა საქართველოს ჩემპიონობა. ანას ანგარიშზე პირველობის 2 მედალია.

„ვცდილობ, ჩემი ყველა აქტივობა შევუთავსო ერთმანეთს, მიყვარს აქტიური ცხოვრება, ვარ ფრენბურთელი, ძალიან მიყვარს სპორტის ეს სახეობა, ასე თუ ისე, აქაც ვხედავ საკუთარ თავს.“ აღნიშნა ანა ბეჟანიშვილმა

ანას მომავალიც დაგეგმილი აქვს, ზუსტად იცის, რა უნდა აკეთოს, პანდემიის პერიოდში აღმოჩენილი უნარით, ჩანახატების წერით, მთელი ცხოვრება დაკავდება. ის მომავალი იურისტია, ჩვენს კითხვაზე, თუ რატომ აირჩია ეს პროფესია, ასე გვპასუხობს: ,,სამართლიანობა მიყვარს, ვერასდროს ვეგუები უსამართლობას და უთანასწორობას. ალბათ ჩემს მიერ მოყოლილის მერე, ცოტა უცნაურადა მოგეჩვენებათ, მაგრამ მინდა გავხდე კარგი იურისტი. სკოლის დამთავრების შემდეგ აუცილებლად ჩავაბარებ სისხლის სამართლის ფაკულტეტზე. ჩემი მიზანია გავხდე წარმატებული და მომავლისკენ სავალი გზა თვითონ გავკვალო. მაგრამ ამას მარტო ვერ შევძლებ, გვერდით კარგი ადამიანები და ოჯახი მყავს!“

ანა მრავალშვილიან ოჯახში იზრდება, ჰყავს მშობლები და, და ძმა, ოჯახი მას სრულ მხარდაჭერას უცხადებს, ყველა პირობას უქმნის დასახული მიზნების ასრულებისთვის.

,, ჩემი ოჯახი ყოველთვის გვერდში მიდგას. ჩემი წარმატება ყოველთვის აბედნიერებთ. არ სჩვევიათ ამის საჯაროდ გამოხატვა და თავიანთი გუნება-განწყობის გადმოცემა, მაგრამ რაც მთავარია, მე ვიცი როგორ უხარიათ და აბედნიერებთ ჩემი წინსვლა. მინდა ოჯახმა ჩემით იამაყოს და ამისთვის აუცილებლად ყველაფერს გავაკეთებ!“ აღნიშნა ანა ბეჟანიშვილმა.

სამართლიანი, მიზანდასახული და ნიჭიერი ანა ბედნიერებას გამთლიანებულ, მშვიდ სახელმწიფოში და ადამიანების ბედნიერ თვალებში ხედავს. საზოგადოებას მხოლოდ ერთს სთხოვს, გაუფრთხილდნენ დედამიწას, რადგან დედამიწის გადარჩენით გადარჩება კაცობრიობა.

p.s. ასე წერს, ფიქრობს და შრომობს ანა. ის თავისუფლად აზროვნებს, გადმოსცემს გრძნობებს და სიტყვაკაზმულობით გვხიბლავს, წარმატებებს ვუსურვებთ მას ცხოვრების ფართო ასპარეზზე.

ნონა ხუზმიაშვილი

ცხოვრება რთული საფეხურებითაა დახუნძლული, უნდა გაუძლო და გაიმარჯვებ - ამბობს ჩვენი რესპონდენტი

მაშინ, როცა დარდი და მწუხარება შემოაწვება, თავს შემოუძახებს, გაამხნევებს და გულში ამ ციტატას იმეორებს „გამაგრდი გულო, არ იგულო ჩრჩილი და მღილი, არ მოადუნო ეს სხეული ეგზომ დაღლილი“. ბევრი სიხარულისა და ტკივილის მიუხედავად, 74 წლის პენსიონერი პედაგოგი მედეა ქომეთიანი-კორძაძე ღიმილით, შემართებით და მხნედ უმკლავდება ასაკს. დილით ადრე დგება და დიდი ოჯახის დიასახლისი მთელ დღეს ფუსფუსში ატარებს, საკუთარ თავთან საუბრობს, აანალიზებს განვლილ ცხოვრებას, წლებს და სიბერეს ლექსით პასუხობს:

„სიბერეს არ ვკადრებ საყვედურს, ცხადია,
არ გავხდი საყბედად საკუთარ ქაღარას,
მაგრამ, რომ არ მკითხა, ისე მომეპარა,
ნაოქთა მარაო რომ აღარ მაკმარა,
უცებ ჩამომსხიპა კისკისა სიცილი,
უცებ ამათალა წლები სანატრელი,
ახლა ნუღარ მიწყენს, ზურგი რომ ვაქციო,
და მეც ბავშვობაში ჩუმად გავიპარო“.

საუბარიც ბავშვობიდან დავიწყეთ. ქუთაისში ინტელიგენტის ოჯახში დაიბადა, მამა ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი, დედა კი საბავშვო ბაღის პედაგოგი გახლდათ, მხიარული და უზრუნველი ბავშვობა ჰქონდა, პედაგოგის ოჯახში აღზრდილს, არ გასჭირვებია პროფესიის არჩევა. აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის შთამომავალმა, არ უღალატა ოჯახის ტრადიციას და საბოლოოდ, მასწავლებლობა აირჩია.

54 წლის მანძილზე განსხვავებული თაობის აღზრდა მოუწია, ამბობს, რომ ცხოვრება რთული საფეხურებითაა დახუნძლული, უნდა გაუძლო და გაიმარჯვებ...

„ჩემი დევიზი სიყვარული, მეგობრობა და ბავშვებისადმი მზრუნველობა იყო, პედაგოგი ფსიქოლოგიც უნდა იყო, ისე ვერ შეძლებ მუშაობას. ყველა ბავშვი ინდივიდია და მას განსხვავებული მიდგომა სჭირდება, მოსწავლე ყველაზე კარგი შემფასებელია, მის თვალებში ამოიკითხავ, რას ითხოვს შენგან. ასე ვიმუშავე მრავალი წელი, მათი ყოველდღიურობით ვიცხოვრე, წლების გამოცდილების მიუხედავად ყოველთვის წინასწარ ვამზადებდი გაკვეთილს და კლასში ისე შევდიოდი, მოსწავლეების სიყვარულს დღესაც ვგრძნობ, არ მტოვებენ, ხშირად მაკითხავენ, ჩემი მდგომარეობით ინტერესდებიან“.

ქუთაისიდან კაზრეთში გადმოსვლა მოუწია, ოჯახიც ბოლნისში შექმნა, ბედი იმერეთიდან გადმოსახლებულ ახალგაზრდას დაუკავშირა. ხავერდოვანი და ბედნიერი ცხოვრება ჰქონდა, მუშაობა დაბა კაზრეთის 1 სკოლაში დაიწყო, დაწყებითის მასწავლებლად, ამ წლებს ნაყოფიერად იხსენებს:

„დაბა კაზრეთში დავიწყე მუშაობა, დაწყებითის პედაგოგი ვიყავი, ძალიან კარგი კოლექტივი გვქონდა, შემიყვარეს და შევიყვარე. იმისთვის, რომ მოსწავლეებს სასწავლო პროცესი მეტად შეყვარებოდათ, გაკვეთილებს შემეცნებითი სახე მივეცი, ხელოვნების გაკვეთილზე ვდგამდით თოჯინების თეატრს, დირექციისგან დიდი ხელშეწყობა გვქონდა, ყველა მოსწავლე

ჩართული იყო, მეორადი მასალისგან ვკერავდით თოჯინებს, ვჭრიდით, ვაწყობდით, ვახმოვანებდით, ეს პროცესი მეტად სახალისოს ხდიდა გაკვეთილს, ადვილად აღიქვამდნენ და იმახსოვრებდნენ, ჩვენმა თეატრალურმა დადგმებმა, სახელი გაითქვა, მიწვეული ვიყავით სატელევიზიო გადაცემებშიც.''

მერე იყო ბოლნისის 1 და ქვემო ბოლნისის საჯარო სკოლები, ახალი სასწავლო რეფორმა, ძველი იდეოლოგიის მიმდევარს თანამედროვე სიახლეებისთვის ფეხის აწყობა არ გასჭირვებია. ასე ჩაიარა 72 წელმა, როგორც თავად ამბობს, შრომა დაუფასდა, პენსიონერი პედაგოგი ზეიმითა და ჯილდოთი გააცილეს. სკოლის მიღმა დარჩენილს, ახალ რეალობასთან შეგუება გაუჭირდა. ნოსტალგიას დეპრესია დაემატა, რაც ოჯახში მომხდარმა ტრაგედიამ - შვილის გარდაცვალებამ განაპირობა. თუმცა შეძლო ბნელ ფიქრებზე გამარჯვება, საყვარელ ჰობს მიუბრუნდა, ძველ ნივთებს თავი მოუყარა, სხვადასხვა მასალისგან სურათებისა და კომპოზიციების შექმნა დაიწყო. ბუნებრივი მასალისგან მულტფილმის გმირები გააცოცხლა და სახლის ერთ კუთხეში, საკუთარი სამყარო - არტ სივრცე შექმნა.

„ჩემს საქმეს მივაგენი, რასაც გული გადავაყოლე, გამოვიმუშავე დღის რეჟიმი, როდესაც ყველა იძინებს, ხელსაქმეს ვუბრუნდები, შვილებივით მიყვარს და ვუფრთხილდები, გულთან ყველაზე ახლოს არიან, მათთან ვსაუბრობ, ვუზიარებ მწუხარებასა და სიხარულს. მიზანდასახულობა ჯერ კიდევ შემომრჩა, ფანტაზია გამიძლიერდა, საქმეში ოჯახის წევრებიც ჩავრთე, ცდილობენ საჭირო ნივთები შემიგროვონ, მაგალითად, ხის ნაფოტა ფიგურისგან ქორბუდა შევქმენი, კუნძისგან კი ცისკარას დევი გამოქვაბულში, ნიჟარებისგან პინგვინები ზღვაში, რომელიც ძველი ნარჩენებისგან აღვადგინე, კორონას პერიოდში გავაკეთე კომპოზიცია, მგელი თავისი ნაშიერით, ის ვაზის ფესვისგან დავამზადე და სიმბოლურად, ხელში ნემსი დავაკავებინე, მას ვირუსი დავარქვი, ასე ვიქარვებ დარდს და ტკივილს“.

მისი ნამუშევრების თემა სიცოცხლე, სირთულის გადალახვა და გამარჯვებაა. ამბობს, რომ ყველა წინააღმდეგობის დაძლევა მარტივად უნდა შეძლოს ადამიანმა და სჯეროდეს ხვალინდელი იმედიანი დღის. „ბოლო წლებია, ამ ფიქრებით ვცხოვრობ, სიბნელეს, სინათლე აუცილებლად ახლავს, პესიმისტი არ უნდა იყო, უნდა შეძლო გაიმარჯვო საკუთარ თავთან, შენთვის საყვარელ საქმეს უნდა მიაგნო, რაც ნაღველისა და დარდის გაქარვებაში დაგეხმარება, არ აქვს მნიშვნელობა, როგორი

გამოგივა, მასთან ერთად უფრო ადვილად შეძლებ, დაძლიო ყოველდღიური სირთულე.

მაგდა დევნოზაშვილი

ბოლნისში 480-მა ბენეფიციარმა ჰუმანიტარული დახმარება მიიღო

საკვები პროდუქტები, ჰიგიენური საშუალებები და პირადი მოხმარების ნივთები ბოლნისში 480-მა სოციალურად დაუცველმა მარტოხელა ხანდაზმულმა მიიღო.

საქართველოს „წითელი ჯვრის საზოგადოება“-სა და „გაეროს მოსახლეობის ფონდის“ პარტნიორობით, საქართველოს 4 მუნიციპალიტეტში, covid-19-თან დაკავშირებით ერთობლივი პროექტი ხორციელდება, რომელიც, ხანდაზმულთა მხარდაჭერის კუთხით, სხვადასხვა ღონისძიებებს ითვალისწინებს. პროექტის ფარგლებში ბოლნისში საქველმოქმედო აქცია მოეწყო.

,,გაეროს ფონდის დახმარებით, საქართველოს წითელი ჯვარი ეხმარება 60 წელს გადაცილებულ, სოციალურიად დაუცველ მარტო მცხოვრებ მოქალაქეებს. ეს არის ჰიგიენური საშუალებების ამანათები და საკვები პროდუქტები. გარდა ამისა, გვაქვს საინფორმაციო მასალები Covid-19-ის შესახებ, რომელიც წარმოდგენილია როგორც ქართულ, ისე სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, რათა გასაგები იყოს ნებისმიერი მოქალაქისთვის. აქვე მითითებულია „წითელი ჯვრის“ ცხელი ხაზის ნომერი, საჭიროების შემთხვევაში, ბენეფიციარებს შეუძლიათ დარეკონ და მიიღონ შესაბამისი დახმარება,“განაცხადა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენელმა თამარ კამკამიძემ.

ამანათების დარიგებას ორგანიზება ,,წითელი ჯვრის“ ბოლნისის ორგანიზაციამ და მუნიციპალიტეტმა გაუწია, რომელშიც 5 ლიდერი და 45 მოხალისე მონაწილეობდა. აქციამ მუნიციპალიტეტის თითოეული სოფელი მოიცვა.

,,ხანდაზმულთა საჭიროებებზე ზრუნვა თითოეული ჩვენთაგანის ვალია, ამიტომ ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია ნებისმიერი აქტივობა, რომელიც მათზეა გათვლილი. აღნიშნული პროექტი, რომელიც საქართველოს წითელი ჯვრისა და გაეროს მხარდაჭერით ხორციელდება, ოთხ ეტაპად მიმდინარეობს, პირველ ეტაპზე მოვახდინეთ ყველა ბენეფიციართან გასაუბრება და მათი საჭიროებების გამოკვლევა, მეორე ეტაპი მოიცავდა ამანათების დარიგებას, შემდგომ ეტაპებზეც განხორციელდება კიდევ სხვა სახის აქტივობები, რომელიც იქნება მათ საჭიროებებზე მორგებული. რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ყველა ბენეფიციარს მივაწოდეთ ინფორმაცია და შესაბამისი რეკომენდაციები covid19-თან დაკავშირებით,“განაცხადა პროექტის კოორდინატორმა ბოლნისში, ლალი გურგენიძემ.

,,საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება“-სა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმებულია მემორანდუმი, რომელიც ერთობლივად მსგავსი სახის პროექტების განხორციელებას ითვალისწინებს.

,,მუნიციპალიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი ,,საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასთან“, რომლის ფარგლებშიც, გაეროს ფონდის მხარდაჭერით ხორციელდება ერთობლივი პროექტი. ბოლნისში მცხოვრები ხანდაზმული მოქალაქეებისთვის ჩამოტანილია 480 პაკეტი. ნობათები მოიცავს პირველადი მოხმარების ნივთებს, პროდუქტებს და ჰიგიენის საშუალებებს. ბოლნისის მუნიციპალიტეტი ორგანიზებას უწევს და ყოველთვის მხარს უჭერს მსგავს პროექტებს და ასევე მადლობას უხდის თითოეულ ორგანიზაციას გაწეული დახმარებისთვის,“ აღნიშნა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, ვალია ნავერიანმა.

იმუნიზაცია

იმუნიზაცია ყოველწლიურად მილიონობით ბავშვს იცავს სიკვდილის და ჯანმრთელობის მდგომარეობის მძიმე დარღვევებისაგან.

პროფილაქტიკური აცრები ხელს უწყობს ბავშვის იმუნიტეტის (თავდაცვის უნარის) ჩამოყალიბებას კონკრეტული დაავადების მიმართ. მშობელმა უნდა იცოდეს რატომ, როდის, სად და რამდენჯერ უნდა აიცრას ბავშვი.

ბავშვთა გეგმიური იმუნიზაცია ხორციელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კანონისა და პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის შესაბამისად (სშჯსდ მინისტრის ბრძანება #01-51/6 25.06. 2010წ). რუტინული ვაქცინაციის სქემა დამოკიდებულია ქვეყნის ეპიდემიოლოგიურ და პროგრამულ თავისებურებებზე.

სახელმწიფო უზრუნველყოფს შემდეგი ინფექციების - ტუბერკულოზის, დიფთერიის, ყივანახველას, ტეტანუსის, პოლიომიელიტის, ყბაყურას, წითურას, წითელას, ბ ჰეპატიტის, როტავირუსული ინფექციის და ჰემოფილუს ინფლუენცა ტიპი ბ საწინააღმდეგო ვაქცინაციას .2014 წლიდან დანერგილია პროფილაქტიკური აცრების ეროვნულ კალენდარში პნევმოკოკური ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინაცია. გარდა ამისა 2019 წლიდან ხდება გოგონების აცრა ადამიანის პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინით. . ჩამოთვლილი დაავადებების პროფილაქტიკა ხორციელდება 8 ვაქცინის საშუალებით,

პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალედრის მიხედვით საქართველოში დანერგილია შემდეგი ვაქცინაცია:

BCG აცრა კეთდება დაბადებიდან 0-5 დღის განმავლობაში;

Hep B (მონო) - დაბადებიდან 12 საათის განმავლობაში;

DPT-HIb-HepB,opv - 2.3.4 თვის ასაკში;

ROTA - 2, 3 თვის ასაკში;

MMR - 12 თვის და 5 წლის ასაკში;

ტეტრაქსიმი - 1-2 წლამდე და 5 წლის ასაკში;

Td - 14 წლის ასაკში და შემდეგ ყოველ 5 წელიწადში 55 წლის ასაკამდე;

apv – 10,11,13 წლის გოგონები.

იმუნიზაცია ჩვენი შვილების ჯანმრთელობის გარანტია და აუცილებელია, ზუსტად დავიცვათ აცრების კალენდარი –ბავშვს სრულყოფილად და რაც მთავარია, დროულად ჩავუტაროთ აცრების კურსი. ამ შემთხვევაში ბავშვი დაცული იქნება იმ ინფექციური დაავადებებისაგან , რომლის წინააღმდეგაც მას აცრები ჩაუტარდა.

ექიმთან ერთი ვიზიტის დროს რამოდენიმე აცრა ერთდროულად კეთდება, ეს ხელს უწყობს აცრების კურსის დროულად დამთავრებას, რაც თავის მხრივ ზრდის ვაქცინაციის ეფექტურობას.

.საქართველო განაგრძობს ახალი ვაქცინების დანერგვას ქვეყნის იმუნიზაციის კალენდარში. 2013 წელს დაიწყო იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში როტავირუსული ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინაცია.

2014 წლიდან GAVI-ს მხარდაჭერით ტარდება პნევმოკოკური ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინაცია.

ძირითადად თანამედროვე ვაქცინები უსაფრთხოა, თუმცა ყველას აქვს იმუნიზაციის შემდეგ არასასურველი მოვლენების განვითარების იშვიათი რისკი.

იმუნიზაციის შემდეგ განვითარებული არასასურველი მოვლენები იმდენად უმნიშვნელოა დაავადებისა და მისგან გამომდინარე ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან შედარებით, რომ ვაქცინაციის აუცილებლობა და ეფექტურობა უდაოა. აღსანიშნავია, რომ ვაქცინაციის დროულად ჩატარების შემთხვევაში მცირდება აცრის შემდგომი არასასურველი მოვლენების განვითარების რისკი.

აცრის შემდეგ 1-3 დღის განმავლობაში სხეულის ტემპერატურამ შესაძლოა მოიმატოს 38.5ᴼC-მდე, შეინიშნებოდეს ზოგადი აგზნებადობა, აცრის ადგილის შეწითლება, შეშუპება და მტკივნეულობა. ეს ორგანიზმის ბუნებრივი რეაქციაა და მის ჯანსაღ იმუნურ სისტემაზე მეტყველებს.

აცრის შემდგომ არასასურველი მოვლენების განვითარების შემთხვევაში, მშობელმა აუცილებლად უნდა მიმართოს ექიმს.

საქართველოში იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გამოიყენება მხოლოდ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული და სერთიფიცირებული ვაქცინები. აქედან გამომდინარე, ყველა ვაქცინა,მიუხედავად მწარმოებელი ქვეყნისა და/ან კომპანიისა, გამოირჩევა მაღალი ეფექტურობისა და უსაფრთხოების მაჩვენებლით. თუმცა ვაქცინის ეფექტურობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ვაქცინირებული პირის (რეციპიენტის) ჯანმრთელობის ზოგად მდგომარეობაზე სრულყოფილი იმუნიტეტის გამომუშავების თვალსაზრისით. პროგამული ვაქცინები უფასოა მომხმარებლისთვის, რადგან ამ ვაქცინის ღირებულებას სრულად ფარავს სახელწიფო იმუნიზაციის პროგრამის ფარგლებში;

. ამჯამად მიმდინარეობს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე შესაბამისი ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება წითელას გავრცელების შეჩერების მიზნით: 1-14 წლის ასაკის არასრულად იმუნიზებულ პირთა, სამედიცინო პერსონალის და კონტაქტების ერთჯერადი უფასო ვაქცინაცია!

• მშობლებო, აიცერით და აცერით თქვენი შვილები, რათა ერთად შევაჩეროთ წითელა!

15 sentyabr tarixindən etibarən ictimai məktəblər tədrisə hansı qaydalarla başlayacaq - Məktəblərə təlimat

Gürcüstanın Təhsil, Elm, Mədəniyyət və İdman Nazirliyi, 2020-2021 tədris ilinin başlaması üçün İşğal edilmiş ərazilərdən məcburi köçkünlər, əmək, səhiyyə və sosial məsələlər nazirliyinin qaydalarına uyğun olaraq məktəblər üçün tövsiyələr hazırladı. Mövcud tövsiyələrə əsasən sentyabrın 15-də 2084 dövlət məktəbində yeni dərs ili sinif otaqlarında bərpa olunacaq.

Nazir müavini Ekaterine Dqebuadze və səhiyyə nazirinin müavini bu gün bu mövzularda söhbət apardılar.

Səhiyyə nazirinin müavininin sözlərinə görə, maska taxmaq hər kəs üçün məcburi olacaq- tələbələr istisna olmaqla, məcburi tövsiyə bir metr məsafəni saxlamaqdır.

Səhiyyə Nazirliyi aşağıdakı qaydaları nəzərə alır:

Tələbələr arasında 1 metr məsafəni saxlamaq;

Şagirdlər xaricində binaya daxil olan hər kəsə maska taxmaq məcburidi;

Hər hansı bir şəxsin termoskrine və əl dezinfeksiya edildikdən sonra binaya daxil olması;

Məktəblərin ehtiyyatında maskaların mövcudluğu;

Hər fasilədən sonra ayaq yolunun sanitar təmizlənilməsi;

Növbələr arasında yarım saatlıq fasilə, sinif otaqları və məktəbin ümumi ərazilərinin sanitar təmizlənilməsi və havalandırlması;

Qızdırma və tənəffüs darlığı simptomları olan şagirdlər üçün müvəqqəti təcrid otağı təmin etmək;

Dərslər arasındakı fasilələr zamanı otaqların havalandırılması;

Tez-tez əllərin sanitar tamizlənilməsi;

Hər kəs (şagirdlər istisna olmaqla) məktəbin ümumi istifadə edilən ərazilərində (dəhlizlər, pilləkənlər, sinif otaqları və s.), olarkən və hərəkət edərkən, həmçinin fasilə zamanı maska taxmalıdır.

Yuxarıda göstərilən qaydalara əsasən, Gürcüstanın Təhsil, Elm, Mədəniyyət və İdman Nazirliyi, hər bir məktəbin spesifikliyini və infrastrukturunu nəzərə alaraq, bütün məktəblərə fərdi qabiliyyəti, şagird sayı və məktəb sahəsi nəzərə alınmaqla tədris prosesini planlaşdırmağa imkan verən tövsiyələr hazırlamışdır. Məktəblərdə tədris prosesinin planlaşdırıldığı zaman aşağıdakılardan istifadə etmək imkanınız olacaq;

Dərs müddətini özləri müəyyənləşdirsinlər (ən az 30 dəqiqəlik dərslər);

Dərs prosesinin başlanğıc vaxtını səviyyələrə / siniflərə görə müəyyənləşdirsinlər (08:30; 08:45; 09:00);

Növbələri müəyyənləşdirsinlər və çevik şəkildə təşkil etsinlər;

Lazım gələrsə, bir növbəli məktəblər çox növbəli modelə keçsinlər və müxtəlif səviyyəli şagirdlər növbələrə uyğun hərəkət etsinlər;

Məktəblər, şagirdlərin təhlükəsizliyini və infrastrukturunu nəzərə alaraq qarışıq (özlərini həm sinifdə, həm də uzaqdan öyrənməyi nəzərdə tutan hibrid model) modelini təqdim edə bilərlər;

Tədris prosesini planlaşdırarkən, məktəb infrastrukturundan asılı olaraq və məktəblərin yükünü azaltmaq üçün yalnız zəruri hallarda şənbə gününü dərs günü kimi istifadə etmək olar;

Təhsil, Elm, Mədəniyyət və İdman Nazirliyi I-IV sinif şagirdlərinə sinif otaqlarında dərs keçirilməsini məcburi etdi.

Məktəb rəhbərliyi tərəfindən qarışıq modelin tətbiqi ilə zəruri hallarda V-VI siniflərdə məsafəli təhsil həftədə maksimum 1 gün, VII- XI siniflərdə maksimum 2 gün, XII sinifdə isə maksimum 3 gün davam edəcəkdir. Qarışıq öyrənmə modeli Gürcüstan Təhsil, Elm, Mədəniyyət və İdman Nazirliyi və Təhsil Resurs Mərkəzi ilə razılaşdırılmalıdır.

"Təqdirəlayiq haldır ki, yeni tədris ilinin planlaşdırılması prosesinə beynəlxalq təşkilatlar, habelə özəl və ya dövlət məktəb administrasiyalarının nümayəndələri cəlb olunmuşdur.

"Tövsiyələrin hazırlanmasında digər ölkələrin ən yaxşı təcrübələrinin bölüşdürülməsi vacibdir ki, bu da hər bir şagirdin sağlamlığına qayğı göstərmək, eyni zamanda akademik standarta riayət etmək deməkdir.

"Mövcud epidemioloji vəziyyəti nəzərə alaraq ümumtəhsil müəssisələrində tədris prosesi sentyabrın 15-də bərpa olunacaq. Nazirliyin məqsədi hər bir şagirdin təhlükəsizliyini və mükəmməl təhsil almasını təmin etməkdir.

Təhsil Nazirliyi Səhiyyə Nazirliyi və Xəstəliklərə Nəzarət və İctimai Səhiyyə Mərkəzi ilə əməkdaşlığı davam etdirir və o dövrdəki epidemiya vəziyyətinə görə veriləcək bütün tövsiyələri ciddi şəkildə yerinə yetirəcəkdir. "- Təhsil Nazirliyi bəyan edir.

200 lari sosial yardımının köçürülməsinə sentyabrın 1-dən başlanılacaq



17 yaşa qədər uşaqlar üçün 200 lari yardımın köçürülməsi sentyabrın 1-dən başlayacaq; Banklara borcu olan şəxslərin borcu yardımdan silinməyəcək, müvafiq razılıq Gürcüstanın Baş naziri Qiorqi Qaxaria ilə ticarət banklarının rəhbərləri arasında hökumət İdarəsində keçirilən görüşdə əldə edildi. Müqaviləyə əsasən, yardım alan şəxsin bankla kredit öhdəliyi varsa, bank bu sosial yardımın geri qaytarılması üçün müraciət etməyəcəkdir. Artıq banklar müvafiq əməliyyat səviyyəsində bu məsələ üzərində işləməyə başlayıblar. Görüşdə Gürcüstanın maliyyə naziri İvane Majavariani, Baş nazirin iqtisadi məsələlər üzrə müşaviri Beka Liluaşvili, "liberty Bank"ının baş direktoru Vasil Xodeli, "Georgian bank" (Gürcüstan bankı) baş direktoru Archil Gachechiladze və "TBC Bank" ın baş direktoru Vaxtanq Buçxrikidze iştirak etdilər. 18 yaşdan kiçik uşaqların birdəfəlik 200 lari sosial yardım almaq üçün yaradılan xüsusi portalda daxmareba.moh.gov.ge. 742 000 uşaq və 442 000 valideyn hazırda qeydiyyatdan keçib. Qeyd edək ki, qeydiyyat 2020-ci il dekabrın 1-dək davam edir.

Gürcüstan vətəndaşları üçün kommunal yardım proqramı qış aylarında davam edəcəkdir.

Baş nazir Giorgi Qaxaria'nın sözlərinə görə, Gürcüstan hökumətinin qərarına əsasən, vətəndaşlara kommunal dəstək proqramı qış aylarında da davam edəcəkdir. Baş nazir bunu hökumət iclasında bəyan etdi.

Onun sözlərinə görə, hökumət dörd ay (noyabr, dekabr, yanvar, fevral) vətəndaşların kommunal xərclərini ödəyəcək. Vətəndaşlarımızın ailələrinin gəlirlərinin azalmasını və ya iş yerlərini itirməsini kompensasiya etmək üçün hökumət, kommunal vergi dəstəyi baxımından bu proqramı dörd ay müddətinə uzatmaq qərarına gəlmişdir, noyabr, dekabr, yanvar və fevral ayları. Eyni prinsiplə 200 kilovatadək elektrik enerjisi və 200 kubmetrə qədər işlədilən vətəndaşların qazı hökumət tərəfindən ödəniləcəkdir. "Nisbətən varlı vəya imkanlı vətəndaşlarımızın bu cür yardımdan imtina etmək imkanı olacaq"- dedi Qiorqi Qaxaria.



არქეოლოგიური აღმოჩენა ბოლნისის მუნიციპალიტეტში

სოფელ ხატავეთში, მაშავერას გორაზე, ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია მუშაობს, რომელმაც აქამდე უცნობი ნეოლითური პერიოდის, 8 000 წლის წინანდელი არქიტექტურა გამოავლინა. ძვ. წელთაღრიცხვის VI ათასწლეულის ძეგლზე პირველად დადასტურდა შულავერ-შომუთეფეს კულტურისთვის დამახასიათებელი

წრიული სახლების სრულიად ახალი სამშენებლო ტრადიცია, მცირე ზომის სათავსები და ნაგებობებს შორის არსებული კედლები.

გორას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მისი ადგილმდებარეობა, ბორცვი მოქცეულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რკალში, რაც იდეალურ პირობებს ქმნიდა 8 ათასი წლის წინ ნეოლითური სოფლის

განვითარებისთვის, აღსანიშნავია ისიც, რომ ძეგლი 15 კმ-ის დაშორებით მდებარეობს არუხლოს და იმირის ძეგლებიდან, სადაც მსოფლიოში უძველესი ღვინის კვალია აღმოჩენილი.

არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილია ნეოლითური პერიოდისთვის დამახასიათებელი მრავალფეროვანი მასალა: თიხის ქურჭლის ნატეხები, ძვლის, ირმის რქის, ობსიდიანის, მასიური ქვის იარაღები და სარდიონისგან დამზადებული მძივები. ეს არტეფაქტები ბოლნისის მუზეუმის კოლექციებს შეემატება, აღნიშნული მასალის შესწავლა სწორედ მუზეუმის ლაბორატორიაში გაგრძელდება.

მაშავერას გორაზე პირველი არქეოლოგიური სამუშაოები 1988 წელს ჩატარდა, სადაც რამდენიმე წრიული ნაგებობა და მცირე რაოდენობით არქეოლოგიური მასალაა აღმოჩენილი. ტერიტორიის შესწავლა

ეროვნული მუზეუმის გუნდმა წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით განაახლდა, VI ათასწლეულით დათარიღებულ ძეგლს მალე კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მიენიჭება.

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი: ნინო კარგარეთელი
დირექტორის მოადგილე: ბელა ონიანი, ტექნიკური რედაქტორი: ხატია ფოცხვერაშვილი, ჟურნალისტები: დარეჯან ოქრუაშვილი, მაგდა დევნოზაშვილი, ნონა ხუზმიაშვილი, მარინა გავაშელი. სტილისტი: ლილი უგრეხელიძე, კომპიუტერის ოპერატორი: ნანული მუშკუდიანი, ფინანსური მენეჯერი: ლენა გოგოლაძე.